პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2025 წლის_ _ ივლისი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4825202102; 21/07/2025) წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული წესდების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების თაობაზე.(დანართი თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე — მაკა ჭელიძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4825202102**
თარიღი: **21/07/2025**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორი 2025 წლის 17 ივლისის №41-4825198104 წერილით ითხოვს ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ (ს/კ 221281636) წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 28 აპრილის №ბ48.48251183 ბრძანებაში ცვლილების შეტანას, რაც განპირობებულია ახალი ბაღის მონაცემების ასახვით წესდებაში.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“ პუნქტის ,,დ.ბ.“ ქვეპუნქტის და ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ.ბ.“ ქვეპუნქტის თანახმად, გთხოვთ, თანხმობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების თაობაზე.

დანართი ,,8“ ფურცლად.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“

წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“ (შემდგომში „გაერთიანება“) არის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად და მისი მიზანია ბავშვის მომზადება სკოლაში სწავლისათვის, ასევე მოზარდში იმ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება რომელიც აუცილებელია მისი შემდგომი განვითარებისათვის.

2. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დამფუძნებელია წყალტუბოს მუნიციპალიტეტი.

3. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებას“- ხელმძღვანელობს საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შრომის კოდექსის, ამ წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ იურიდიული მისამართია: ქ. წყალტუბო, ვაჟა-ფშაველას ქ. № 1-ში.

5. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებას“ აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

მუხლი 2 „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიზნები და ამოცანები

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიზნები და ამოცანებია:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე არსებული საბავშვო ბაღების საქმიანობის ორგანიზება, კოორდინაცია და განვითარება;

2. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მომსახურების ხარისხის და მდგრადობის უზრუნველყოფა;

3. პედაგოგიური პროცესის სრულყოფისათვის თანამშრომელთა პროფესიულ განვითარების ხელშეწყობა;

4. საბავშვო ბაღებში ინკლუზიური განათლების პროცესის განვითარება;

5. ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებული სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების შეთანხმებული მუშაობისათვის ხელშეწყობა;

6. საბავშვო ბაღებისათვის სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამების შემუშავება-დამტკიცება, ბაღების გაერთიანების საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე;

7. პედაგოგიური პროცესის სრულყოფისათვის ახალი მეთოდებისა და საშუალებების მოძიება;

8. აღსაზრდელში იმ უნარჩვევების ჩამოყალიბება, რომელიც დაკავშირებულია მისი შემდგომი განვითარების და სკოლაში სწავლებისათვის;

9. აღსაზრდელში კულტურული ქცევის ჩვევის დამოუკიდებლობის, მშვენიერებისაკენ მისწრაფების, სამართლიანობის, ტოლერანტობისა და სხვა გრძნობების ჩამოყალიბება;

10. აღსაზრდელებში ეროვნული და კულტურული მემკვიდრეობის საწყისების ჩამოყალიბება;

11. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან/და მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის სკოლაში სწავლებისათვის სათანადო მომზადებაში ხელშეწყობა.

მუხლი 3. გაერთიანების ფუნქციები

გაერთიანების ფუნქციებია:

1. საბავშვო ბაღების რაციონალური და ჯანსაღი კვების ორგანიზება;

2. საბავშვო ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა;

3. საბავშვო ბაღების სავალდებულო მედიკამენტებითა და პირველადი დახმარებების საშუალებებით უზრუნველყოფა;

4. საბავშო ბაღებში საოფისე და კომუნალური ხარჯების მიზნობრივად განკარგვა;

5. საბავშვო ბაღებში სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამების განხორციელება და კონტროლი;

6. საბავშვო ბაღებში ჯანმრთელი და უსაფრთხო გარემოს შექმნა;

7. საბავშვო ბაღის არმქონე სოფლებიდან, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებული ან/და მცხოვრები ბავშვების არანაკლებ 5 კილომეტრით დაშორებულ უახლოეს ქალაქში ან სოფელში მდებარე საბავშვო ბაღში ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა, თუ კონკრეტულ ადმინისტრაციულ ერთეულში ან სოფელში არის სკოლამდელი ასაკის არანაკლებ 30 ბავშვი ან მეტი.

მუხლი 4. გაერთიანების სტრუქტურა და მართვა

1.გაერთიანებას ხელმძღვანელობს დირექტორი.

2. დირექტორის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება. დირექტორს ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი.

3. გაერთიანება შედგება საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების ფილიალებისაგან, რომელსაც ხელმძღვანელობს მენეჯერი, მას თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გაერთიანების დირექტორი.

4. გაერთიანების სტრუქტურული ერთეულებია: გაერთიანების ადმინისტრაცია, სათათბირო საბჭო და გაერთიანების შემდეგი ფილიალები: ქალაქ წყალტუბოს №1 ბაგა-ბაღი (მდებარე ქ.წყალტუბო, ბესიკის ქ.№17), ქალაქ წყალტუბოს №2 ბაგა-ბაღი (მდებარე ქ.წყალტუბო, ვაჟა-ფშაველას ქ. №1), ქალაქ წყალტუბოს №3 ბაგა-ბაღი (მდებარე ქ.წყალტუბო, გოგებაშვილის №3), ქალაქ წყალტუბოს №4 ბაგა-ბაღი (მდებარე ქ.წყალტუბო, 9 აპრილის ქ.მე-4 შესახვევი), №5 ბაღი (მდებარე სოფელი გვიშტიბი), №6 ბაღი (მდებარე სოფელი მაღლაკი), №7 ბაღი (მდებარე სოფელი ფარცხანაყანევი), №8 ბაღი (მდებარე კოპიტნარის დასახლება), №9 ბაღი (მდებარე სოფელი მესხეთი), №10 ბაღი (მდებარე სოფელი მუხიანი), №11 ბაღი (მდებარე სოფელი გეგუთი), №12 ბაღი (მდებარე სოფელი პატრიკეთი), №13 ბაღი (მდებარე სოფელი ტყაჩირი), №14 ბაღი (მდებარე სოფელი ოფშკვითი), №15 ბაღი (მდებარე სოფელი საყულია), №16 ბაღი (მდებარე სოფელი ახალი საყულია), №17 ბაღი (მდებარე სოფელი გუმბრა), №18 ბაღი (მდებარე სოფელი ოფურჩხეთი), №19 ბაღი (მდებარე სოფელი რიონი), №20 ბაღი (მდებარე სოფელი ქვიტირი), №21 ბაღი (მდებარე სოფელი ხომული), №22 ბაღი (მდებარე სოფელი ცხუნკური), №23 ბაღი (მდებარე სოფელი თერნალი), №24 ბაღი (მდებარე ქ. წყალტუბო, 9 აპრილის ქუჩა №15), №25 ბაღი (მდებარე ქ. წყალტუბო, თამარ მეფის ქუჩა) და ასევე ის ფილიალები, რომლებიც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეიქმნებიან აღნიშნული წესდების მიზნების, ამოცანებისა და ფუნქციების შესასრულებლად.

მუხლი 5. გაერთიანების დირექტორი

1.გაერთიანების დირექტორი:

1.1 წარმართავს და ორგანიზებას უწევს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ საერთო საქმიანობას. პასუხისმგებელია ამ საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე;

1.2 თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ თანამშრომლებს;

1.3 კანონით დადგენილი წესით განაგებს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ქონებას და სახსრებს, მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა სამსახურის საკუთრებაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობაზე და ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე;

1.4 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით უფლებამოსილია შეიძინოს და გაასხვისოს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ძირითადი ქონება;

1.5 მინდობილობის გარეშე წარმოადგენს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებას“ ყველა ინსტანციაში და დებს (გარიგებებს) ხელშეკრულებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

1.6 იღებს გადაწყვეტილებას „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ შინაგანაწესით დადგენილი წესის შესაბამისად;

1.7 შეიმუშავებს და ამტკიცებს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ შინაგანაწესს ან დღის განრიგს;

1.8 მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს გაწეული სამუშაოს შესახებ და ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის მერის წინაშე;

1.9 უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც მოქმედებს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ფარგლებში. წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას;

1.10 ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. დირექტორი ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის მერის წინაშე.

3. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით მის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი თანამშრომელი.

4. დირექტორის წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის მერი.

მუხლი 6. გაერთიანების სათათბირო საბჭო

1.გაერთიანებას შეიძლება ჰყავდეს სათათბირო საბჭო, რომელიც შედგება საბავშვო ბაღების მენეჯერებისაგან, მერის მიერ დანიშნული პირისა და მშობელთა სათათბიროს წარმომადგენლებისაგან.

2. გაერთიანების სათათბირო საბჭო:

2.1. შეიმუშავებს საბავშო ბაღების სამუშაო გეგმას და სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამას და დასამტკიცებლად წარუდგენს გაერთიანების დირექტორს;

2.2 წარუდგენს დირექტორს წინადადებებს საბავშვო ბაღებში მისაღებ ბავშვთა კონტიგენტის, კვების, საოფისე და კომუნალური მომსახურეობის საჭირო ხარჯების შესახებ.

მუხლი 7. საბავშვო ბაღების სტატუსი

საბავშვო ბაღი სამართლებრივად წარმოადგენს გაერთიანებაში შემავალ სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც საქმიანობს გაერთიანების წესდებით და არ წარმოადგენს იურიდიულ პირს.

მუხლი 8. საბავშვო ბაღის მენეჯერისა და სხვა პერსონალის უფლება-მოვალეობანი

1. მენეჯერი ხელმძღვანელობს საბავშვო ბაღის კოორდინირებულ საქმიანობას;

2. ხელმძღვანელობს საბავშვო ბაღში შექმნილ საბჭოს;

3. ხელმძღვანელობს და უზრუნველყოფს საბავშვო ბაღში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის სწორად წარმართვას;

4. წარუდგენს წინადადებებს გაერთიანების დირექტორს საბავშვო ბაღში აღსაზრდელების მიღებისა და გათავისუფლების შესახებ;

5. უზრუნველყოფს ანგარიშების დროულად მომზადებას და გაერთიანებაში წარდგენას;

6.წარუდგენს დირექტორს ინფორმაციას საბავშვო ბაღების კონტიგენტის შესახებ და ზრუნავს კონტიგენტის გაზრდაზე;

7.კონტროლს უწევს აღმზრდელების მიერ დღის რეჟიმის დაცვას;

8.პასუხისმგებელია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების და წესების დაცვაზე;

9. განახორციელებს აღსაზრდელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის საჭირო ღონისძიებებს;

10. აწარმოებს აღმზრდელობით-საგანმანათლებლო პროცესის კონტროლს;

11. ანგარიშვალდებულია და პასუხისმგებელია საბავშვო ბაღის სამეურნეო ქონების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენახვა-დაცვაზე, ანგარიშვალდებულია აწარმოოს აღრიცხვიანობა, აგრეთვე დადგენილი წესის მიხედვით შეადგინოს და წარადგინოს სასაქონლო და ფულადი ანგარიშები, მასზე მინდობილი მატერიალური ფასეულობების მოძრაობებისა და ნაშთების შესახებ;

12. აღრიცხავს და აკონტროლებს ბაღებისა და ბაგა-ბაღების საწყობში, არსებული მარაგების მოძრაობას და ყოველი თვის ბოლოს წარუდგენს დირექტორს შესყიდვების აუცილებელ ნუსხას;

13. ასრულებს გაერთიანების დირექტორის სხვა დავალებებს;

14. საბავშვო ბაღის სხვა პერსონალის უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს და ამტკიცებს გაერთიანების დირექტორი.

მუხლი 9. სასწავლო - სააღმზრდელო პროცესის ორგანიზება

1. საბავშვო ბაღებში სასწავლო - სააღმზრდელო პროცესის ორგანიზების, სწავლა-აღზრდის პროგრამის შინაარსისა და ხანგძლივობის შედეგების შეფასების საკითხები განისაზღვრება, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ საგანმანათლებლო პროგრამით.

2. საბავშო ბაღებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს ზედამხედველობს მუნიციპალიტეტის მერი.

3. აღზრდა-განათლების მიღება საბაშვო ბაღებში მიმდინარეობს ქართულ ენაზე, დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად სწავლება შეიძლება განხორციელდეს უცხო ენაზეც.

4. საბავშვო ბაღებში შეიძლება ფუნქციონირებდეს სათათბირო საბჭო.

5. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი მიმდინარეობს დამტკიცებული დღის განრიგით.

მუხლი 10. საქმიანობის კონტროლი

1. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ საქმინობის კონტროლი გულისხმობს, დაწესებულების მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობისა და საფინანსო-ეკონომიკური ეფექტურობის კონტროლს.

2. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ კონტროლს ახორციელებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი, მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ან/და აუდიტორის მეშვეობით ან/და ამ საქმიანობისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა დაწესებულება ან პირები.

მუხლი 11. მატერიალური ბაზა და ფინანსები

1. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებას“ გადაეცემა შესაბამისი ქონება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დაფინანების წყაროებია:

2.1 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

2.2 საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სახსრები კანონმდებლობის შესაბამისად ხმარდება მხოლოდ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიზნებისა და ფუნქციების ეფექტურად გახორციელებას, მათი სხვა მიზნით გამოყენება დაუშვებელია.

4. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“ ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება.

მუხლი 12 . საქმიანობა რომელიც საჭიროებს თანხმობას

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებას“ შეუძლია მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით და მერთან შეთანხმებით განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა-დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) საშტატო ნუსხის, სახელფასო განაკვეთის, ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა;

ე) სხვა გადაწყვეტილებები „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ქონებასთან დაკავშირებით, რომელიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 13. გაერთიანების ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია

1. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებითა და საკრებულოს თანხმობით.

2. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ლიკვიდაცია ხორციელდება მიზნის მიღწევის შედეგად, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, გაკოტრებისას.

3. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.

4. დამფუძნებლის გადაწყვეტილება ლიკვიდაციის და რეორგანიზაციის პროცესის შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის და რეორგანიზაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი 14. დასკვნითი დებულებები

1. წესდება ძალაში შედის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მიერ წესდების დამტკიცების შესახებ ბრძანების და საკრებულოს თანხმობის შესაბამისი განკარგულების ამოქმედებიდან.

2. თუ ამ წესდების (დამფუძნებელთა/ წევრთა შეთანხმების) რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

3. წესდებაში ცვლილებისა და / ან დამატების შეტანა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი ან ზემდგომი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.